ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები 2025 | No. 6, 123-143

განათლების საკითხი თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში

მარიამ ჯინჯოლავა

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Education Policy in the Pre-Election Programs of Political Parties in Contemporary Georgia

Mariam Jinjolava

Master's Program Student in Educational Sciences Ivane Javakhisgvili Tbilisi State University, Faculty of Psychology and Educational Sciences

„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია, შეისწავლოს განათლების საკითხი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების მიხედვით. გააანალიზოს განათლების პოლიტიკის აქტუალურობა და პრიორიტეტულობა. იმისათვის, რომ კვლევა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილიყო, საკვლევ ობიექტებად შეირჩნენ პარტიები, რომლებმაც 2016-2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში 3%-იანი ბარიერი გადალახეს. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, შეისწავლოს თუ როგორ არის ასახული პარტიების პროგრამებში განათლების საკითხი და დაადგინოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მათი ყურადღების ცენტრში განათლების პოლიტიკის მოხვედრას. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, საკითხის ირგვლივ არსებული დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ.

თემაზე მუშაობისას შემდეგი ორი საკვლევი კითხვა გამოიყო:

1. როგორ აისახება განათლების საკითხი ძირითადი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში?

2. რა ფაქტორებითაა გამოწვეული პოლიტიკური პარტიების ინტერესის ნაკლებობა განათლების საკითხისადმი?

კვლევა არის სიახლე, რადგან იგი მოცემული თემის ირგვლივ არსებული მწირი ემპირიული ნაშრომების გამდიდრებას ემსახურება. ნაშრომი, არის მცდელობა, გამოკვეთოს განათლების პოლიტიკაში არსებული გამოწვევები და შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების ინდიფერენტული დამოკიდებულების მაპროვოცირებელი მიზეზები.

საკვანძო სიტყვები: *პარტიები საქართველოში, პარტიული პროგრამა, განათლების პოლიტიკა, ინტერესის ნაკლებობა, წინასაარჩევნო პროგრამები.*

Abstract

The aim of this study is to examine education-related issues as reflected in the pre-election programs of Georgian political parties. The research analyzes the relevance and prioritization of education policy within party agendas. To ensure the research is both diverse and engaging, the study focuses on parties that surpassed the 3% electoral threshold in the 2016–2020 parliamentary elections. The goal of the paper is to investigate how education issues are represented in party platforms and to identify the main factors that hinder education policy from becoming a central focus of political attention. The study employs qualitative research methods, specifically document analysis and in-depth interviews. Political parties' attitudes toward education are analyzed at the programmatic level through the lens of rational choice theory.

The research is guided by the following two questions:

1. *How is the issue of education reflected in the pre-election programs of major Georgian political parties?*
2. *What factors contribute to the lack of interest in education issues among political parties?*

This study is innovative, as it aims to enrich the limited empirical literature surrounding this topic. It seeks to highlight the challenges present in education policy and to explore the underlying reasons behind political parties' indifferent attitudes toward education.

Keywords: *political parties in Georgia, party programs, education policy, lack of interest, pre-election program*

შესავალი და თეორიული ჩარჩო

განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სივრცის განვითარების პროცესში (Shust, Tymchuk & Maydaniku, 2022), ამიტომ ის სახელმწიფო მმართველობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. შესაბამისად, განათლება აქტუალური განხილვის საგანია წინასაარჩევნოდაც. ვინაიდან პარტიები პოლიტიკური ინტერესების არტიკულაციისა და აგრეგაციის აგენტებს წარმოადგენენ (Webb, 2009), ისინი ცდილობენ ამ თემებს შეეხონ.

დღესდღეობით, მრავალი ორგანიზაციისა და ინსტიტუციის მიერ, განათლების დონისა და განათლების სისტემის ხარისხიანობის დასადგენად უამრავი კვლევა ტარდება. მათგან მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და სხვათა მონაცემები (World bank group, 2024).

განათლების პოლიტიკა დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. საქართველოში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან წინასაარჩევნო დაპირებებსა და რეალურად განხორციელებულ პოლიტიკურ პრიორიტეტებს შორის ხშირად შეინიშნება ასიმეტრია.

ამ სტატიაში განვიხილავთ, რამდენად და როგორ აისახება განათლების საკითხი ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებში, ვცდილობთ გავარკვიოთ, რა აფერხებს მას გახდეს საარჩევნო დღის წესრიგის პრიორიტეტი.

არჩევნებსა და პოლიტიკურ პარტიებზე საუბრისას, განათლების საკითხის, მისი მნიშვნელობისა და როლის განხილვა არსებით მნიშვნელობას იძენს. საზოგადოებისათვის და პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისათვის განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხია, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოში ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს. ბრიტანელი მეცნიერები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ჯანსაღი დემოკრატია მოითხოვს განათლებულ, პოლიტიკურად ჩართულ მოქალაქეებს (Galston, 2001). როგორც გუტმანი (1999, გვ.49) წერდა, განათლება დიდწილად აყალიბებს მოქალაქეთა მორალურ ხასიათს, ხოლო მორალური ხასიათი, კანონთან და ინსტიტუციებთან ერთად, ქმნიან დემოკრატიული მმართველობის საფუძველს. აქედან გამომდინარე, განათლება აქტუალურობას არასდროს კარგავს, რადგან ხარისხიან განათლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ინდივიდების, არამედ მთელი საზოგადოების განვითარებისათვის. განათლების პოლიტიკა მოქმედებს, როგორც ხიდი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის (Viborg, 2000).

პარტიების უმრავლესობას განათლების საკითხი, თითქოს, საარჩევნო პროგრამაში პრიორიტეტულ მიმართულებად აქვს გათვალისწინებული, მაგრამ, საინტერესოა, რეალურად რამდენად სრულდება ეს პროგრამები და ამ საკითხს რამდენად ექცევა სათანადო ყურადღება? იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ რატომ არის განათლება ასეთი მნიშვნელოვანი და არის თუ არა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, ამისათვის საჭიროა განვსაზღვროთ განათლების ადგილი, როგორც საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ პროცესებში. ფრანგი მოაზროვნეების, ალფრედ ბინესა და ფერდინანდ ბიუსონის სიტყვებით თუ ვიტყვით, ,,განათლება არის მათი პიროვნების ჩამოყალიბების მიზნით სხვებზე ზემოქმედების პროცესი," რაც პოლიტიკურ ჭრილში განხილვისას, ალბათ, ყველაზე მეტად თვალსაჩინო ხდება მაშინ, როდესაც ჭკვიანი, მოხერხებული, განათლებული ადამიანები სხვებზე ზემოქმედებენ. თუ განათლების დეფინიციას სოციოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ,,განათლება არის საშუალება, რომელსაც საზოგადოება საკუთარი არსებობის, ძალაუფლებისა და პატივისცემის კვლავწარმოებისთვის იყენებს". ემილ დიურკემის (1898) აზრით, განათლების მთავარი ფუნქცია დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემაა, მაგრამ იმის გამო, რომ

განსხვავებულ საზოგადოებებში კულტურული მიზნები და ღირებულებები სხვადასხვაგვარია, განათლების მნიშვნელობაც განსხვავებულია.
ვინაიდან განათლება მრავლისმომცველი ცნებაა, ის ასევე ერთ-ერთი უდიდესი სექტორია, რომელიც ხშირად სახელმწიფოს მთლიანი ბიუჯეტის 15-20%-ს იკავებს და ბევრ მასწავლებელს საჯარო სექტორში ასაქმებს (unesco.org, 2023). შესაბამისად, განათლების ყველა ქვესექტორმა, ისევე როგორც განათლების სხვადასხვა ელემენტმა, სინქრონულად უნდა იმოქმედოს, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა წარმატებულ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამიტომ, განათლების სამინისტროებმა თანმიმდევრულად და სისტემურად უნდა განსაზღვრონ თუ რას უნდა მიაღწიოს სისტემამ. შემუშავებული უნდა იყოს პოლიტიკის პრიორიტეტები და სტრატეგიები, რომლებიც შემდგომ გამოყენებული იქნება ამ ხედვის განსახორციელებლად (unesco.org, 2023). კონტექსტზე კი, რომელშიც განათლების პოლიტიკა ყალიბდება, ხშირად, მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის ისტორიული მოვლენები, საზოგადოების საჭიროებები და ეკონომიკური მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ყველა სახელმწიფო სხვადასხვანაირად განსაზღვრავს და უყურებს მოცემულ საკითხსა და მის მიზნებს.
„ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“ (,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 2005). რისთვისაც ქვეპუნქტებში ცალკეა გაწერილი მიღწევის გზებიც, თუმცა, რამდენად ხარისხიანად და ეფექტურად ხდება კანონებში გაწერილის სისრულეში მოყვანა, ამაზე მსჯელობა მეტად კომპლექსური საკითხია.
,,სოციოლოგიური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას განათლების იმ პოზიტიურ ფუნქციას ანიჭებს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური წესრიგის შენარჩუნებას (სმელზერი, 2004)“. ის ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს, არის მდგრადი განვითარების, საზოგადოებისა და გარემოს მთავარი ურთიერთდაკავშირებელი ელემენტი, აძლიერებს საზოგადოებას და ადამიანის ღირსეულ არსებობას ყველა ასპექტში უზრუნველყოფს (სმელზერი, 2004, გვ.1).
,,ადამიანური კაპიტალის” თეორიის თანახმად, განათლება არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რასაც ადამიანი მაშინვე მოიხმარს. განათლება არის კაპიტალდაბანდება მომავლისთვის, რომელიც მოგების მომტანი, წარმატების განმაპირობებელი და კონკურენტუნარიანობის მძლავრი იარაღია. ,,ადამიანური კაპიტალის” თანახმად, მიიჩნევა რომ ადამიანი საკუთარ ცოდნას, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ უნდა იღრმავებდეს და სწორედ მის მიერ მიღებულ ცოდნაზეა დამოკიდებული მისივე შემოსავალი (ლომინაშვილი, 2020). ამიტომაც, განათლება ყველა ეპოქაში იყო და არის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: ,,საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია“ (ჭავჭავაძე, 1879 წ).
საზოგადოების დიდ ნაწილს კარგად ესმის განათლების არსი და მნიშვნელობა. როგორც დიოგენე იტყოდა: ,,ყოველი სახელმწიფოს საფუძველი მისი ახალგაზრდების განათლებაა“ (Diogenes, 323). თუმცა, აქ მთავარი კითხვა არის ის, თუ ვინ და როგორ უნდა ზრუნავდეს ახალგაზრდების განათლებაზე და მათ უკეთეს მომავალზე. ურთიერთკავშირი განათლებასა და პოლიტიკას შორის გარდაუვალია. პოლიტიკური კომუნიკაცია და განათლების პოლიტიკა არ შეიძლება ერთმანეთისგან გამიჯნული იყოს. ამ ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

არსებობს (Althusser, 2010). კარგად შემუშავებულ საგანმანათლებლო სისტემას შეუძლია ხელი შეუწყოს ინფორმირებული მოქალაქეების არსებობას, წარმართოს ეკონომიკური ინოვაციები და გადაჭრას საზოგადოების გამოწვევები. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიები, როგორც პოლიტიკის არქიტექტორები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო ლანდშაფტზე, აყალიბებენ იმ ინტელექტუალურ და პრაქტიკულ საფუძველს, რომელზეც საზოგადოებები ვითარდება. კარგად განათლებული მოსახლეობა ხელს უწყობს ძლიერი და დინამიკური საზოგადოების განვითარებას, აძლიერებს ეკონომიკურ პროდუქტიულობას, სოციალურ ერთიანობას და კულტურულ სიცოცხლისუნარიანობას (Berger & Fisher, 2013). პირიქით, განათლების სექტორის არაადეკვატურობამ შეიძლება საზოგადოების შესუსტება, ეკონომიკური პროგრესის შეფერხება და ინდივიდუალური პერსპექტივების შემცირება გამოიწვიოს.

განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოქალაქეთა პოლიტიკური სოციალიზაციაა, რაც საზოგადოების განათლების, ინფორმირებულობისა და ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. ამ ნაწილში, პოლიტიკურ პარტიებს საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. პოლიტიკური განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც პარტიებმა უნდა შეასრულონ. ეს არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას სკოლების, მედიის, მთავრობებისა და პოლიტიკური პარტიების საშუალებით, პოლიტიკური ღირებულებების, ნორმებისა და სიმბოლოების შესახებ ასწავლის (Sahabuddin, Latief & Anwar, 2020).

პოლიტიკური განათლება გვიჩვენებს პოლიტიკური ცოდნის შესწავლის პროცესს, რომელიც პოლიტიკურად ინფორმირებული პიროვნებების ჩამოყალიბების მიზნით ხორციელდება. პოლიტიკური განათლება ინდივიდებისა და საზოგადოების დამოკიდებულებებისა და ქცევების ინტერპრეტაციაში შეგნებულ ძალისხმევას აჩვენებს, რათა მათ გაიგონ და იცხოვრონ იდეალურ პოლიტიკურ სისტემაში შემავალი ღირებულებებით (ჯანდევი, 2019). პოლიტიკური პარტიები ნებისმიერ დემოკრატიულ სისტემაში ცენტრალური აქტორები არიან, რომელთა პასუხისმგებლობაში შედის იმ პოლიტიკური ამინდის ჩამოყალიბება და განხორციელება, რომელიც მათ იდეოლოგიას შეესაბამება და ამომრჩევლის ინტერესებს ეხმიანება.

დემოკრატიულ სამყაროში, პარტიები და მათ მიერ წინასაარჩევნოდ შედგენილი პოლიტიკური პროგრამები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. როგორც წესი, პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა იმ ძირითად დეტალებს მოიცავს, რომლებიც ამომრჩევლებს პარტიის გეგმების, პრინციპებისა და შეხედულებების შესახებ ორიენტაციის საშუალებას აძლევს. საკუთარი პროგრამით პარტია გამოხატავს იმას, თუ რით განსხვავდება სხვა პარტიებისაგან, ალტერნატიული შემოთავაზებისგან (რადიო თავისუფლება, 2017). საარჩევნო პროგრამები პარტიული დემოკრატიის ხედვებსა და პარტიულ კონკურენციაში გადამწყვეტია. საარჩევნო პროგრამისათვის ელექტორატის მხრიდან დაბალი მნიშვნელობის მინიჭება წყალს პარტიათა წისქვილზე ასხამს, თუმცა ამ პროცესში მხოლოდ მათი დადანაშაულება არასამართლიანი იქნება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორმხრივი პროცესია და საზოგადოების მხრიდან ნაკლები ინტერესი თავის მხრივ ერთ-ერთი მიზეზია (qronikaplus.ge, 2017). დაბალი პოლიტიკური კულტურა ამომრჩეველთა უმოქმედობით წარმოიქმნება, რადგან არ არსებობს შესაბამისი მოთხოვნა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, არც პარტიები ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას თავიანთ პროგრამებს, ვინაიდან იციან ინდიფერენტული ამომრჩევლის შესახებ და ამას ხშირად საერთოდ არწარდგენილ ან დაგვიანებით წარდგენილ საარჩევნო პროგრამებში გამოხატავენ.

საქართველოში 2016 წლის არჩევნებში დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიათა უდიდეს ნაწილს, რომელთა რაოდენობაც ერთ ათეულსაც არ აღემატება, სულაც არ წარუდგენია ამომრჩევლებისათვის წინასაარჩევნო პროგრამა. ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ქართველ ამომრჩეველთა მხრიდან პარტიათა წინასაარჩევნო პოლიტიკური პროგრამისადმი დაინტერესება პროცენტული თვალსაზრისით საკმაოდ დაბალია, უდიდესი ნაწილი კი არ

ეცნობა წინასაარჩევნო პროგრამებს (რადიო თავისუფლება, 2016). ამის მიზეზად შეიძლება სამი ძირითადი პრობლემის გამოყოფა: ა) მოქალაქე არ არის დაინტერესებული პოლიტიკური აქტივობით და არ ერთვება მასში, მათ შორის არც არჩევნების საშუალებით. ბ) ჰყავს ფავორიტი პარტია (პიროვნება პარტიაში) და მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია საარჩევნო პროგრამა და ნებისმიერ შემთხვევაში ის (პარტია/პიროვნება) იქნება მისი რჩეული. გ) არ არსებობს პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამა, რომელსაც გაეცნობა და შეარჩევს იმ კონკრეტულ პარტიას, რომელსაც შემდგომში ხმას მისცემს და საკუთარი თავის იდენტიფიკაციას მოახდენს მრავალფეროვან მიზნებსა და ხედვებს შორის (რადიო თავისუფლება, 2016) .

გამონაკლისი არც განათლების პოლიტიკაა. როდესაც საქმე განათლებას ეხება პოლიტიკურ პარტიებს ,,უნიკალური შეხედულებები'', ,,ღირებულებები“ და „პრიორიტეტები'' აქვთ. ისინი განათლების სისტემას წინასაარჩევნო პროგრამებით და არჩევის შემთხვევაში, მმართველობით აყალიბებენ. პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რომელსაც ხშირად აკრიტიკებენ და მხოლოდ არჩევნებში გასამარჯვებელ იარაღად მიიჩნევენ.

ანტონი დაუნსი, თავის წიგნში, სადაც დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკურ ქმედებებს ეკონომიკური თეორიით ხსნის, ამბობს, რომ პარტია არის ის ინსტრუმენტი, რომლითაც ამომრჩეველთა ხმები მიიღება, რომელიც შემდეგი ფორმულით მოქმედებს: პარტიები პოლიტიკას აყალიბებენ არჩევნებში გასამარჯვებლად, და არა პირიქით, ისინი არ იმარჯვებენ არჩევნებში იმისთვის, რომ პოლიტიკა ჩამოაყალიბონ და ემსახურონ მას (Downs, 1957). დაუნსის ეს მიდგომა კარგად აღწერს პოლიტიკური მარკეტინგის მახასიათებელს, რომელიც იკვლევს საზოგადოების განწყობა/დამოკიდებულებებს და ელექტორატის მსოფლმხედველობის შესაბამისად ქმნიან იმ პროდუქციას, რომელიც ამომრჩეველს უნდა (O'Cass, 1996). პარტიულ პროგრამებში პარტიები წერენ იმას, რასაც მნიშვნელოვნად თვლიან და ფიქრობენ, რომ ამ თემის/საკითხის შეტანა ღირს კამპანიის გასატარებლად, კონკრეტულ მოსაზრებებს კი სწორად გამიზნული აუდიტორია, პოტენციური ამომრჩეველი ჰყავს, რომლის დარწმუნებასაც ცდილობენ (Jakobi, 2016). აქედან გამომდინარე, პარტიები იდეოლოგიისა და პოლიტიკის შემუშავებისას მარკეტინგულ საკითხებზე არიან ორიენტირებულნი. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, შეგვიძლია პარტიების ის პრობლემა ავხსნათ, რაც განათლებისადმი ყურადღებას მხოლოდ თავიანთ პროგრამებში დაწერილ სიტყვებად ტოვებს და შემდგომში შედეგიანი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმისკენ არ უბიძგებს. პარტიები, გარკვეულ საკითხებს თავიანთ პლატფორმებს სტრატეგიულად უერთებენ. ისინი ამომრჩეველთა ინტერესებთან შესაბამისობისა და მათი ხედვების მეტ-ნაკლებად გათვალისწინების ეფექტის შექმნას ცდილობენ. ამიტომ, თავიანთ პროგრამებში ყველა იმ საკითხს უთმობენ ადგილს, რომელიც საზოგადოებისთვის პრიორიტეტულია. შესაბამისად, ჩამონათვალში ადგილს განათლების საკითხიც იკავებს. განათლების ჩართვა წინასაარჩევნო პროგრამებში განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება სტრატეგიული პოლიტიკური აქტორებისთვის - ვინაიდან მათი სამიზნე სწორედ ის საზოგადოებაა, რომელიც განათლებას პრიორიტეტად ისახავს.

ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია რაციონალური არჩევანის თეორია, რომელიც პოლიტიკური პროცესების შესასწავლად პირველად გამოიყენა ენტონი დაუნსმა (1957) ნაშრომში, ,,In an Economic Theory of Democracy.“ დაუნსი ვარაუდობდა, რომ ამომრჩევლები და პოლიტიკური მხარეები მოქმედებენ როგორც რაციონალური გადაწყვეტილების მიმღებნი, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად მიაღწიონ თავიანთ პრეფერენციებს. ჩამოაყალიბონ ის პოლიტიკა, რომელიც მათ ყველაზე მეტ ხმას მოუტანს და გაზრდის ამომრჩეველთა რაოდენობას (Downs, 1957). მოცემული თეორია განსაკუთრებით საინტერესო და რელევანტურია, რადგან ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პოლიტიკის შემქმნელები მოქმედებენ იმ პრინციპით, რომელიც მათთვის ყველაზე მომგებიანი იქნება. შედეგიანი ნაბიჯების გადადგმისათვის კი

აქტორები ჯერ საზოგადოებაში არსებული ყველა ღირებულებისა და უპირატესობის იდენტიფიცირებას ახდენენ და შემდეგ განსაზღვრავენ იმას, რომელი საკითხი უფრო ხელსაყრელი იქნება მეტი მხარდამჭერის მოსაპოვებლად (Anyebe, 2018). განათლების პოლიტიკის კონტექსტში, რაციონალური არჩევანის თეორიამ შემდეგნაირად შეიძლება იმოქმედოს: საკითხი რომელიც საზოგადოებისათვის ნაკლებად პრობლემატურია, შესაძლოა, სრულიად არ იყოს პარტიებისათვის მიმზიდველი და მომგებიანი, შესაბამისად, იგი ნაკლებ ყურადღებას იქცევს. რაც NDI-ის, IRI-ისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებითაც დასტურდება (NDI.ORG). ამასთანავე, ამომრჩეველი წინა პლანზე აყენებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა და უსაფრთხოება (IRI.ORG), რაც თავისთავად, იწვევს პარტიების პოლიტიკის, მათი კამპანიისა და წინასაარჩევნო პროგრამების აღნიშნულ საკითხებზე მორგებას. ნაშრომში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენეულია სწორედ რაციონალური არჩევანის თერია (Downs, 1957), რომელიც პოლიტიკური პროცესების ანალიზში ფართოდ გამოიყენება და განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც მიზანი ამომრჩეველთა პრიორიტეტების კონტექსტში პარტიების ქცევის ახსნაა. აღნიშნული თეორია განმარტავს, რომ როგორც ამომრჩევლები, ასევე პოლიტიკური პარტიები რაციონალური გადაწყვეტილების მიღების პრინციპით მოქმედებენ, ცდილობენ, მაქსიმალურად გაზარდონ სარგებელი და შეამცირონ დანაკარგები.

კვლევაში, აღნიშნული თეორიის გამოყენება მიზნად ისახავს იმის გაანალიზებას, თუ რატომ არის განათლების საკითხი პარტიათა დღის წესრიგში შედარებით დაბალი პრიორიტეტის მქონე. დაუნსის მოდელის მიხედვით, თუ საკითხი (ამ შემთვევაში განათლება) საზოგადოებაში მწვავე პრობლემად არ აღიქმება, პარტიები მისი დეტალური განხილვით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი, რადგან პოლიტიკური კაპიტალის მოპოვება უფრო მარტივია იმ თემებით, რომლებიც ამომრჩევლისთვის უფრო მნიშვნელოვანი და მწვავეა (მაგალითად ეკონომიკა, უსაფრთხოება).

თეორია კარგად ერგება ქართულ კონტექსტს. კერძოდ, აქცენტი გაკეთებულია პარტიათა სტრატეგიულ არჩევანზე, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ ამომრჩეველთა მოთხოვნების შეფასებას, არამედ პარტიის შიდა რესურებს, კვალიფიციურ კადრებსა და გრძელვადიანი ხედვის არარსებობას. ამგვარად, რაციონალური არჩევანის თეორია კვლევაში არა მხოლოდ ახსნის დონეზე, არამედ პარტიათა პროგრამების და ინტერვიუების ინტერპრეტაციისას ანალიტიკურ ინსტრუმენტადაც გამოიყენება.

საქართველოს განათლების სისტემა ისეთი პრობლემებით ხასიათდება, როგორიცაა რესურსების არაადეკვატური განაწილება, მკვეთრად გამოხატული რეგიონული უთანასწორობა, ხელმისაწვდომობის პრობლემა, მაღალი ხარისხისა თუ ინფრასტრუქტურის არარსებობა და ა.შ. (jam-news.net, 2023). რასაც ადასტურებს საერთაშორისო თუ შიდა კვლევებიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოში განათლების დონე საკმაოდ დაბალია (World Bank Group, 2022). სასკოლო განათლების ხარისხის შეფასების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, PISA-ს შეფასებას დავეყრდნობით, დავინახავთ, რომ 2022 წლის შეფასებით ანგარიშში, სადაც 81 ქვეყანა მონაწილეობდა, საქართველომ 65-ე ადგილი დაიკავა. 2018 წელს, ამავე რეიტინგში საქართველო 70-ე ადგილს იკავებდა, თუმცა, რეიტინგში დაწინაურების მიზეზი არა გაუმჯობესებული შედეგები, არამედ სხვა ქვეყნების დაბალი მაჩვენებლებია (OECD, 2022). ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2022-2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადყოფს, რომ განათლების საკითხი საქართველოს მოსახლეობისათვის ნაკლებად პრიორიტეტულია. წამყვან პოზიციას იკავებს ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა სამუშაო ადგილების სიმცირე, ფასების ზრდა და სიღარიბე (NDI.ORG, 2022). რაც შეეხება განათლების საკითხს, იგი ათეულშიც კი ვერ ხვდება (IRI.ORG, 2023). რთული პოლიტიკური

ლანდშაფტის პირობებში, წინასაარჩევნო მანიფესტებში ასახული პოზიციები და პოლიტიკა განათლების სფეროს კონტურების გამოკვეთაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამიტომაც საინტერესოა, როგორ განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და რა სტრატეგიებს სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლებს განათლების საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი და ამოცანები

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, კვლევის **მიზანს** წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში განათლების საკითხის შესწავლა. შესაბამისად, კვლევის ამოცანები, რამდენიმე ძირითადი ფაქტორის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას ემსახურება:

- განათლებისა და მისი პოლიტიკისადმი არსებული თეორიების და ამ საკითხის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა;
- ძირითადი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების მიხედვით განათლების საკითხისადმი არსებული დოკუმენტების შესწავლა;
- აღნიშნული თემის გარშემო ემპირიულ ველზე ექსპერტებისაგან და პარტიების წარმომადგენლებისაგან პირველადი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- კვლევისას მიღებული შედეგების ჩამოყალიბება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

კვლევის ობიექტები და კითხვები

ნაშრომში **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს საქართველოში არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დოკუმენტები, პარტიების წარმომადგენლები და განათლების ექსპერტები, რომელთა დამოკიდებულებების შესწავლა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში განათლების საკითხის მნიშვნელობის დასანახად და მისი გაანალიზების პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, ნაშრომში გამოყოფილია **ძირითადი საკვლევი კითხვები:**

1. როგორ აისახება განათლების საკითხი ძირითადი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში?
2. რა ფაქტორებითაა გამოწვეული პოლიტიკური პარტიების ინტერესის ნაკლებობა განათლების საკითხისადმი?

კვლევითი ჰიპოთეზები

შესაბამისად, კვლევაში ჩამოყალიბებულია ორი **დაშვება:**

1. განათლების საკითხი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში ნაკლებად და ძირითადად ზედაპირული დებულებებითაა ასახული.
2. პოლიტიკური პარტიების ინტერესის ნაკლებობა განათლების მიმართ შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით: საზოგადოების მხრიდან განათლების საკითხებისადმი დაბალი ინტერესით. ეკონომიკა, უსაფრთხოება და სიღარიბე მათთვის უფრო გადამწყვეტად ითვლება. ეს მდგომარეობა (NDI-ისა და IRI- ის კვლევების მიხედვით) პარტიების შეზღუდული რესურსებით, გრძელვადიანი ხედვის არქონითა და სხვა პრობლემებით არის განპირობებული.

კვლევის მეთოდი

კვლევის შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, კვლევაში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის მეთოდები,** რაც განპირობებულია მიზნით - ღრმად გაანალიზდეს პარტიათა პროგრამებში განათლების საკითხის რეპრეზენტაცია და გამოვლინდეს ის ფაქტორები, რომლებიც ამ თემის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს. გამოყენებულია ორი ძრითადი მეთოდი: **დოკუმენტური ანალიზი** და **სიღრმისეული ინტერვიუ.** ეს მიდგომა საშუალებას იძლევა, თემის ირგვლივ დეტალური და მრავალმხრივი ინფორმაცია შეგროვდეს (წულაძე 2020). **კვლევის ინსტრუმენტია** სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი პარტიებისთვის და ექსპერტებისთვის, რომელიც მნიშვნელოვანია გამოკითხულთა დამოკიდებულებებისა და შეფასების გასარკვევად.
ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებულია **არაალბათური მიზნობრივი შერჩევა.** თითოეული ინტერვიუ ჩატარებულია პირისპირ. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა იყო დაახლოებით 45-55 წუთი. ამასთან, ნაშრომში სრულად არის დაცული კვლევის ეთიკა. რესპონდენტების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე თითოეული სიღრმისეული ინტერვიუს აუდიოჩანაწერი გაკეთდა. ტექსტში ყოველი რესპონდენტის ვინაობა დაფარულია.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში ჩატარდა 10 სიღრმისეული ინტერვიუ, აქედან 6 პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ 2016-2020 წლების წინასაარჩევნო პროგრამების შემუშავებაში და პასუხისმგებელნი იყვნენ განათლების ბლოკზე ან მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ მიმართულებებზე. მათ შორის არიან პროგრამის ავტორები, კომიტეტის წევრები და პოლიტიკური მრჩევლები. ასევე, 4 ინტერვიუ ჩატარდა დარგის ექსპერტებთან, რომელთაც გააჩნიათ გამოცდილება განათლების პოლიტიკის ანალიზში, არიან აკადემიური სფეროს, კვლევითი ცენტრების ან არასმთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელმძღვანელები.
რაც შეეხება კვლევის გარშემო მეორეული სახის ინფორმაციას: ინსტიტუციური და განათლების საკითხისადმი თანამედროვე და ტრადიციულ თეორიებთან ერთად, ნაშრომში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციაა განხილული (სტატია, კვლევა, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო გვერდების, სახელმწიფო სტრუქტურების ონლაინ მედია-სტატიები, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები). დოკუმენტებზე დაყრდნობით გაანალიზდა საქართველოში არსებული იმ ძირითადი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები, რომლებმაც 2016-2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში სამპროცენტიანი ბარიერი გადალახეს. შესაბამისად, კვლევის ფოკუსში მოხვდნენ: ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ,,სტრატეგია აღმაშენებელი", ,,ევროპული საქართველო", ,,ლელო-საქართველოსთვის", ,,ლეიბორისტული პარტია" და ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი." ასევე სტატიებისა და სხვადასხვა კვლევების მეშვეობით შესწავლილი და მოძიებულია განათლების პოლიტიკაში არსებული გამოწვევები და გაანალიზდა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებები. აღნიშნული ინფორმაცია და პარტიული პროგრამები, ძირითადად, ისეთი ვებ-გვერდებისგან მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზებას ეყრდნობა, როგორიცაა: Partiebi.ge, Gd.ge, Aghmashenebeli.ge, Europeangeorgia.ge, Labour.ge, Lelo9.ge. აღნიშნული ონლაინ რესურსების არჩევის რამდენიმე კრიტერიუმი არსებობდა, ერთი მხრივ, ეს გვერდები მარტივად ხელმისაწვდომია და მეორეს მხრივ, ისინი ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებისათვის ერთ-ერთი პირველწყაროს წარმოადგენენ.

პარტიათა პროგრამების ანალიზი და ემპირიული ველის შედეგები

პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო პროგრამებისა და მათ წარმომადგენლებთან ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა, მათმა ანალიზმა აჩვენა, რომ, მიუხედავად ზოგადი თანხმობისა,

განათლების პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით და რეფორმის საჭიროების არსებობის შესახებ არსებული კონსენსუსისა, პარტიებს შორის განსხვავებები (ცხრილი N1), როგორც პრიორიტეტებში, ასევე კონკრეტულ მიდგომებში გამოიკვეთა.

განათლებისადმი პარტიათა ხედვების მიხედვით, დოკუმენტთა ანალიზის შედეგად, მათი ორ კატეგორიად დაჯგუფებაა შესაძლებელი. 1. პარტიები, რომლებიც წერენ განათლების პოლიტიკის შესახებ ღრმად და სისტემურად და 2. პარტიები, რომლებიც საუბრობენ განათლების საკითხებზე, მაგრამ ძალიან მოკლედ, უმეტეს შემთხვევაში, თეზისების სახით წარმოგვიდგენენ თავიანთ ხედვებს.

პირველი ჯგუფში მოხვდა მხოლოდ ორი პარტია, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ,,სტრატეგია აღმაშენებელი.“ მათ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით, პროგრამებში შემოთავაზებული აქვთ განათლების საკითხების ყოვლისმომცველი და სისტემური ანალიზი.

პარტიათა მეორე ჯგუფი, რომელიც განათლების საკითხისადმი ნაკლებსპეციფიკური, მაგრამ ფართო, ზოგადი პოლიტიკით გამოირჩევიან, არის მმართველი პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ და ოპოზიციური პარტიები, ,,ლელო საქართველოსთვის“, ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და ,,საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

ცხრილი N1. განათლების საკითხები საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში, 2016-2020 წლის მაგალითზე.

	,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო „	,,ერთიანი ნაცონალური მოძრაობა“	,,სტრატეგია აღმაშენებელი“	,,ევროპული საქართველო“	,,ლელო - საქართველოსთვის“	,,ლეიბორისტული პარტია“	,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
დეცენტრალიზაცია	☐	✓	✓	✓	✓	✓	✓
დეპოლიტიზაცია	☐	✓	✓	✓	✓	✓	✓
მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და ხელფასების ზრდა	✓	✓	✓	✓	✓	☐	☐
ბიუჯეტის ზრდა	☐	✓	✓	✓	☐	☐	☐
განათლების ევროპული მოდელი	☐	✓	✓	☐	✓	☐	✓
ვაუჩერული მოდელი	☐	☐	☐	✓	☐	☐	☐

ტექნოლოგიების განვითარება და ინტეგრირება	✓	✓	✓	☐	☐	☐	☐
განათლების ხარისხის ზრდა	☐	☐	✓	✓	☐	✓	☐
ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა	☐	☐	✓	☐	☐	✓	✓

განათლების უგულებელყოფილი სფეროები პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამებში

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ მიუხედავად განათლების პოლიტიკის მნიშვნელობაზე ზოგადი კონსენსუსისა, პარტიათა პროგრამებში განათლების სფეროს არაერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სრულად ან თითქმის სრულად უგულებელყოფილია. ეს ეხება როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ისე განათლების შინაარსობრივ განახლებას.

მთავარი უგულებელყოფილი სფეროებია:

- მეცნიერებისა და კვლევის დაფინანსება - პარტიათა უმეტესობის პროგრამებში არ არსებობს მკაფიო ხედვა სამეცნიერო კვლევის სისტემის განვითარებაზე, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების მხარდაჭერაზე, ინოვაციების ხელშეწყობაზე.
- პროფესიული განათლება - მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება საქართველოში ხშირად განიხილება როგორც დასაქმების ზრდის მნიშნელოვანი ინსტრუმენტი, პროგრამებში ის უმეტესად საერთოდ არ არის ნახსენები ან მოხსენიებულია მხოლოდ ერთ-ორ წინადადებაში.
- ინკლუზიური განათლება - პროგრამებში არ არის გაწერილი კონკრეტული ნაბიჯები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაციის, მასწავლებელთა გადამზადების ან საჭირო რესურსების უზრუნველყოფის შესახებ.
- გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა - იშვიათია გეგმა, რომელიც განათლების სისტემის გრძელვადიან (10-15 წლიან) განვითარებას მოიცავს. უმეტესად წარმოდგენილია მოკლევადიანი, ზოგადი დაპირებები.
- სკოლამდელი განათლება - პარტიათა უმრავლესობა არ ეხება სკოლამდელი აღზრდის სისტემურ განვითარებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელვანია სოციალური უთანასწორობის შემცირებისთვის.
- მასწავლებელთა კარიერული წინსვლის სისტემა – მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ხელფასების ზრდა ხშირად იხსენიება, არ არის გაწერილი მექანიზმები მათი პროფესიული განვითარების მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

- ციფრული უნარები და მედიის წიგნიერება – ტექნოლოგიების ზოგადი განვითარების ფონზე, თითქმის არ განიხილება თანამედროვე ციფრული კომპეტენციების განვითარება, მედიის წიგნიერების გაღრმავება და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიმართულებების უგულებელყოფა შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას. პირველ რიგში, ეს სფეროები არ არის ამომრჩევლისთვის მყისიერად ხილული, შესაბამისად, მათი პოლიტიკური „მომგებიანობა“ შედარებით დაბალია. მეორე, მათი რეალიზება გრძელვადიან სტრატეგიებს და მაღალი ხარჯვის ბიუჯეტს მოითხოვს, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ნაკლებად მიმზიდველია. მესამე, ამ მიმართულებებში გადაწყვეტილებების მიღება ხშირად საჭიროებს ექსპერტებთან ფართო კონსულტაციებს, რაც პარტიათა სამუშაო პრაქტიკაში ნაკლებად არის დამკვიდრებული.

ამ თემების პროგრამებში სისტემური ინტეგრაცია არა მხოლოდ გააძლიერებდა პარტიათა განათლების პოლიტიკის დღის წესრიგს, არამედ გაზრდიდა მათი ხედვის სანდოობას საზოგადოებაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო კვლევები მიუთითებს, რომ განათლების ხარისხის გაუმჯობესება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

შედეგების განხილვა

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში, აღსანიშნავია, რომ მსგავსებებთან ერთად, გამოიკვეთა განსხვავებული შეხედულებებიც. ამასთან ერთად, შეიმჩნა განათლების გარკვეული საკითხებისადმი მეტი ყურადღება, გამოიკვეთა ისეთი თემებიც, რომელზეც განათლების პროგრამაში საუბარი არ არის.

პარტიის წარმომადგენლებისათვის დასმული კითხვებიდან ერთ-ერთი იყო ის, თუ რა არის პარტიის მთავარი პრიორიტეტი საარჩევნო პროგრამის შედგენისას, სადაც პარტიათა წარმომადგენელთა უმეტესობამ დაასახელა სწორედ ის საკითხები, რომლებიც ყოველთვის უფრო წინ დგას, ვიდრე განათლების პოლიტიკა და ამ მხრივ თავიანთი პოზიცია არ დაუმალავთ. პარტიათა უმეტესობა განათლებას როგორც მნიშვნელოვან პრიორიტეტს ისე ასახელებს, თუმცა მათი პრიორიტეტები, პირველ რიგში, დაკავშირებულია ეკონომიკის ზრდასთან, სოციალურ კეთილდღეობასთან და უსაფრთხოებასთან. მაგალითად, ,,ლელოს" წარმომადგენელმა განათლების საკითხები დაუკავშირა ეკონომიკის განვითარებასთან, რომლის გარეშეც საგანმანათლებლო რეფორმა ეფექტური არ არის. პატრიოტთა ალიანსი ასევე განათლებაზე წინ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს აყენებს. მაგალითისათვის, პარტია ლელოს წარმომადგენელმა საუბარი ეკონომიკურ განვითარებაზე, დაცულობასა და კეთილდღეობაზე დაიწყო, რაც პარტიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და რაც მის საუბარს მთელი ინტერვიუს მანძილზე გასდევდა. ერთმანეთთან თანხვედრაში მყოფი ძირითადი თემები იყო განათლების დეპოლიტიზაცია, დეცენტრალიზაცია, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხის ზრდა. თუმცა, გარკვეული პარტიები ავლენენ განსხვავებულ ან რადიკალურ ხედვებს. მაგალითად, „ევროპული საქართველო" ემხრობა ვაუჩერულ მოდელზე დაფუძნებული საჯარო განათლების სისტემის სრულად პრივატიზაციას, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება ტრადიციულ ხედვას.

განსხვავებული პოზიცია გამოჩნდა ,,ლეიბორისტულ პარტიასა" და ,,ნაციონალურ მოძრაობაში", რომლებიც განათლებას უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევენ, თუმცა პროგრამის დოკუმენტში ეს რიტორიკა ნაკლებად თვალშისაცემია. ამ მხრივ, საინტერესო იყო ,,ლეიბორისტული პარტიის" პასუხიც, რომელშიც აღინიშნა, რომ განათლება პარტიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ,,ჩვენი პარტიის იდეოლოგიური ბაზისი დაფუძნებულია ორ მთავარ ღირებულებაზე, მთავარ საკითხზე, ბურჯზე. ეს გახლავთ, ეროვნულ სახელმწიფოებრივი საკითხები და სოციალური საკითხები." მოცემული, პასუხები შეიძლება პირდაპირ დავაკავშიროთ იმასთან, რომ

პოლიტიკურ პარტიებს უფრო მეტად ნაფიქრი აქვთ სწორედ იმ საკითხებზე, რომლის წინაშეც საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით მოსახლეობა დგას. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულ საკითხზე აქვთ სალაპარაკო, საუბარს ისევ იმ თემებით იწყებენ, რომელიც მნიშვნელოვანი და მომგებიანი ჰგონიათ. თუმცა, გამოიკვეთა ისეთი პარტიებიც, რომლებიც თემიდან გამომდინარე, უშუალოდ განათლებაზე იწყებდნენ საუბარს. მაგალითად, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, რომელმაც თქვა: ,,ბოლო დროის კვლევა, რაც აღებული იყო, აჩვენა, რომ მოსწავლეთა ძალიან დიდი ნაწილი, 70% მდე, განიცდის შიმშილს. წამოვიდა ახალი მესიჯი რაც ჩვენც გავაჟღერეთ, ერთ-ერთი მესიჯი - უფასო კვება ყველა ბავშვს სკოლაში.“

უშუალოდ განათლების პოლიტიკის განხილვისას, როგორც პარტიების პროგრამებშია ასახული, საუბარშიც გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომლებიც თვითეული პარტიისა და მისი წარმომადგენლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება განათლების დეპოლიტიზირება, დეცენტრალიზება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, განათლების ხარისხის ზრდა, ზოგადი და უმაღლესი განათლების რეფორმები. თუმცა მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ის განსხვავებული ხედვა და ინიციატივა, რომელიც ზოგიერთ მათგანს გააჩნდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პარტია თანხმდება ზოგადი და უმაღლესი განათლების დეცენტრალიზაციასა და დეპოლიტიზაციაზე, ამ კუთხით საინტერესო ხედვა და ინიციატივა გაგვიზიარა ,,ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა, რომელიც მკაფიოდ განსხვავებული იყო სხვა ხედვებისა და ინიციატივებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რადიკალური მიდგომა ეწინააღმდეგება უფრო ტრადიციულ შეხედულებებს საჯარო განათლების შესახებ.

თუ ყველა პარტია მიიჩნევს და საუბრობს განათლების ხელმისაწვდომობაზე და იმაზე, რომ აუცილებლად ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს განათლება და ამისათვის ხარისხის გაზრდას და სასწავლო დაწესებულების აშენებას მნიშვნელოვნად თვლის, ,,ლეიბორისტული პარტიისა“ და ,,პატრიოტთა ალიანსის“ ხედვები განსხვავებულია. ისინი მიიჩნევენ რომ განათლება ყველასათვის უნდა იყოს უფასო და ხელმისაწვდომი უმაღლეს სასწავლებლებშიც კი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პარტიის წარმომადგენლები ინტერვიუს დროს უფრო მეტს საუბრობდნენ, მეტ რეფორმას, ინიციატივას გვთავაზობდნენ ვიდრე პროგრამაში ასახავენ. არის საკითხები, რომლებიც პროგრამაში წერია, თუმცა საუბარში არ უხსენებიათ, ან პირიქით, საუბარში ახსენეს და პროგრამაში მითითებული არ არის. მაგალითად, პარტია ,,ლელო საქართველოს“ წარმომადგენელმა ძალიან ბევრი ისაუბრა განათლების საკითხებზე, მაშინ როდესაც პროგრამაში სულ რამდენიმე თეზისია წარმოდგენილი. ამასთანავე, ზოგიერთი საკითხი არც კი უხსენებია.

განსხვავებული ხედვები გამოვლინდა უმაღლესი განათლების დაფინანსების მიმართულებით. მაგალითად, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლეიბორისტული პარტია“ ითხოვენ უმაღლესი განათლების სრულად უფასოდ ხელმისაწვდომობას, ზოგჯერ მისი სავალდებულოდ გამოცხადების იდეითაც კი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პოზიცია, რომელიც გამოხატა „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელმა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკოსები არ უნდა წყვეტდნენ საგანმანათლებლო სისტემის შიდა საკითხებს (მაგ. გამოცდები, შეფასება და ა.შ.), ეს საკითხები უნდა განისაზღვროს სპეციალისტების მიერ, ხოლო პოლიტიკის ამოცანა მხარდამჭერი გარემოს შექმნა და კორუფციისგან დაცვა უნდა იყოს.

პოლიტიკური პარტიების გამოკითხვის შედეგად აშკარაა, რომ ისინი თანხმდებიან განათლების რეფორმის აუცილებლობაზე, თუმცა ამომრჩეველთა საჭიროებებიდან გამომდინარე,

როგორებიცაა ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები და უმუშევრობის მაღალი დონე, განათლების საკითხი, მათ პრიორიტეტებში ამ ეტაპზე ვერ ხვდება.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპერტთა შეფასებები განათლების პოლიტიკის თემებისა და პარტიათა დამოკიდებულებების შეფასების მიმართ სხვადასხვაგვარია, თუმცა, შეინიშნება მსგავსი თემებიც და ემთხვევა როგორც ერთმანეთის, ასევე პოლიტიკური პარტიების შეხედულებებს. მათი ანალიზი ხაზს განათლების რეფორმასთან დაკავშირებული პოლიტიკური ჩართულობის ხარვეზებს უსვამს და ნათლად გვიჩვენებს იმ ფაქტორებს, რომლებიც განათლების პოლიტიკაში პოლიტიკური პარტიების ჩართულობას აფერხებს და საკითხისადმი მათი ინტერესის ნაკლებობას განაპირობებს. ექსპერტები საუბრობს იმაზე, რომ დამოკიდებულებები განათლებისადმი არის ზედაპირული. რეალურად, ისინი არ არიან გათვითცნობიერებულნი რა სურთ ან რა და როგორ უნდა გააკეთონ. ამასთან ერთად, ვერ პასუხობენ მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლების თუ სხვათა საჭიროებებს, რადგან მათთან არც შეხება აქვთ და არც კავშირი. ,,მშობლების, მასწავლებლების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და კავშირიც სკოლებთან მათ ნაკლებად აქვთ, არანაირი კავშირი რეალურად არ აქვთ, თუნდაც რაღაც კუთხით იკვლევდნენ საჭიროებებს. პოლიტიკური პარტიები ნაკლებად ეწევიან კვლევით საქმიანობასაც, მაგალითად, შეისწავლონ ან დაეყრდნონ სხვა ტიპის კვლევებს, გარდა ზედაპირულისა. მაგალითად, საერთაშორისო შეფასებებით გვაქვს ცუდი შედეგი, სიღრმისეულად ამას რა განაპირობებს არ სწავლობენ.“
ამასთან ერთად, გამოყოფენ სხვა პრობლემებსაც, მაგალითად, საზოგადოება ვერ იაზრებს იმას, რომ განათლების დაბალი დონე ყველზე დიდი პრობლემაა. აღნიშნავენ რომ საზოგადოებას არ ესმის მისი არსი და პარტიებიც, სწორედ საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე, რეაგირებენ. ,,რა სარგებელი მოაქვს განათლებას გაცნობიერებული არ არის. ამ კვლევებში პირველზე თუ სიღარიბე, უმუშევრობაა და ა.შ. მერე მე-13, მე-9 ადგილზეა განათლება. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ის, რა პრობლემებიც სახეზეა, მათი დაძლევის მდგრადი და გრძელვადიანი გზა სწორედ განათლებაა. ამის გააზრება არ ხდება, ამიტომ ადამიანები და პარტიები ამ საზოგადოების მოთხოვნებზე რეფლექსირებენ და საუბრობენ შიმშილზე, სიღარიბეზე და ა.შ და ეს ჩრდილავს განათლებას.“ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ერთ-ერთმა განათლების მკვლევარმა, განათლების პოლიტიკისადმი პოლიტიკური პარტიების მხრიდან ინტერესის ნაკლებობასთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა და აღნიშნა, რომ ინტერესი აქვთ და ამის მიზეზიც დაასახელა. ,,მე არ ვიტყოდი რომ არ აინტერესებთ, იმიტომ რომ ძირითად პარტიებში ბევრია, ვინც აკადემიური სფეროდან არის წასული ან უნივერსიტეტის პროფესორია, ან ყოფილი სკოლის დირექტორი. ამ ხალხზე, ვერ ვიტყვი, რომ არ არიან დაინტერესებულნი, პირიქით, ინტერესი ყველას აქვს, რადგან განათლების სფერო არის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური სფერო, უფრო მეტ ადამიანზე გადის ვიდრე სხვა ნებისმიერი და ელექტორალური თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანია.“

განათლების სფეროსადმი პარტიების მხრიდან ნაკლები ინტერესის გამომწვევ ფაქტორებზე საუბრისას ექსპერტებმა ბევრი მიზეზი დაასახელეს. ერთ-ერთი კი, მათი აზრით, არის ის, რომ პარტიებს არ გააჩნიათ ხედვა, თუნდაც გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი, როგორ სურთ შედეგის მიღწევა და განათლების სისტემის გაუმჯობესება. ასევე შეინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა პარტიის რიგებში. ამასთან, არ არიან ღია დიალოგისა და დისკუსიისთვის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, როგორც სკოლებთან, უნივერსიტეტებთან, მასწავლებლებთან და ახალგაზრდებთან, ასევე ნაკლებად აქვთ შეხება ექსპერტებთან და არასამთავრობო სექტორებთან, რაც სისტემისათვის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს და ამასთან ერთად, ხაზს უსვამს პარტიების ინდიფერენტულ დამოკიდებულებასაც.

პარტიების მხრიდან იდეოლოგიური ხედვის მიმართ ერთგულებისა და საკუთარი მაიდენტიფიცირებელი ნიშის არ ქონა კიდევ ერთი საკითხია, რომელსაც განათლების მკვლევრებმა ხაზი გაუსვეს და აღნიშნეს, რომ ,,პარტიები მხოლოდ არჩევნებისთვის მუშაობენ და არა მათი იდეოლოგიის ხორცშესხმისთვის. აქედან გამომდინარე, ზოგიერთმა ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთ-ერთი არსებითი პრობლემა, მათი აზრით, არის ისიც, რომ პარტიების მიერ დაწერილსა და შემდეგ მათ ნასაუბრებს შორის სხვაობა დიდია. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია რას წერენ და რამდენად იაზრებენ იმას, რასაც ამომრჩეველს პროგრამის სახით სთავაზობენ, შესაბამისად, მათი წინასაარჩევნო შეთავაზებები ქმედებაში რეალიზებას ვერ ჰპოვებს.
განსაკუთრებით საინტერესო შეხედულება ჰქონდა ერთ-ერთ მკვლევარს, რომელმაც აღნიშნა, რომ განათლებისადმი პოლიტიკის წარმოება ხდება შენატანებისა და მიწოდებაზე დაფუძნებული მიდგომით და იმისათვის რომ პროცესი შეიცვალოს, საჭიროა სხვანაირი მიდგომა. საინტერესოა ისიც, თუ რა რეკომენდაციებს გასცემდნენ და რაში ხედავდნენ გამოსავალს ექსპერტები, სადაც გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: მნიშვნელოვანია დემოკრატიული პრინციპების ქონა და შენარჩუნება, საზოგადოების ინფორმირებულობა, ინკლუზიურობა და მუდმივი კონტაქტი იმ პირებთან, რომლებმაც იციან რა არის რეალური პრობლემა და როგორ გადაიჭრას ეს ყოველივე.
პარტიების ხედვები განათლებასთან მიმართებით მრავალფეროვანია: ნაწილი განათლებას განიხილავს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ფუნდამენტად, სხვები კი დამოუკიდებელ პრიორიტეტად. მიუხედავად ამისა, ყველა პარტია აღიარებს რეფორმების აუცილებლობას, რაც აჩვენებს კონსენსუსს.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები და მათი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში ძირითადი პოლიტიკური პარტიები განათლების საკითხებისადმი ინდიფერენტულები არიან.
კვლევის პირველი დაშვება, რომ განათლების საკითხი ქართული პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში ნაკლებად და ძირითადად ზედაპირული დებულებებითაა ასახული, გამართლდა. უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ზოგად საკითხებზე, როგორიცაა, პედაგოგთა ხელფასების ზრდა, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტექნოლოგიების ინტეგრირება-განვითარება და სხვა. ექსპერტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა კი კიდევ ერთხელ დაასაბუთა მოსაზრების მართებულობა და ხაზი გაუსვა განათლების სისტემაში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების უგულებელყოფის ფაქტს.
კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიების მხრიდან განათლების საკითხისადმი ინტერესის შედარებითი სიმცირე მრავალფაქტორიანია. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრის კვლევები (NDI,2022, IRI, 2023) ადასტურებს, რომ მოსახლეობა განათლებას ნაკლებად მიიჩნევს პრიორიტეტად ეკონომიკასთან, უსაფრთხოებასა და დასაქმებასთან შედარებით. მეორე მხრივ, პარტიების შიდა ფაქტორებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს – კვალიფიციური კადრების დეფიციტი, გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობა და პოლიტიკური დღის წესრიგის მოკლევადიან პრობლემებზე ფოკუსირება. ამგვარად, საზოგადოებრივი ინდიფერენტულობა მხოლოდ ერთ-ერთ განმაპირობებელ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს და არა ერთადერთ განმსაზღვრელად.
ყველა პარტიის წარმომადგენლის მიერ განათლება აღიარებულია კრიტიკულ და მნიშვნელოვან საკითხად, თუმცა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ საკმარისი ყურადღება მაინც არ ექცევა განათლების პოლიტიკასა და რეფორმებს, რადგან ხშირად მას წინ უსწრებს ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური სიდუხჭირე, ეროვნული უსაფრთხოება, უმუშევრობა და სხვა. ამასთან, არსებობს კონსენსუსი განათლების რეფორმის აუცილებლობაზე, თუმცა მიდგომები და პრიორიტეტულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. განათლების საკითხებისადმი უყურადღებობის ერთ-ერთ ფაქტორად განათლების გრძელვადიანი პერსპექტივები და

კვალიფიციური კადრების ნაკლებობაც სახელდება, რაც, ცალსახად, გავლენას ახდენს როგორც პარტიათა პოლიტიკის ზოგადი დღის წესრიგის შექმნასა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე, ასევე წინასაარჩევნო პროგრამების შედგენაზე.
ეს კვლევა ცდილობს ახსნას განათლებისადმი პოლიტიკური ინტერესის სიმცირე და ამ გზით ხელი შეუწყოს ამ თემის ირგვლივ აკადემიური დისკურსის გაღრმავებას საქართველოში.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამმომდინარე, მნიშვნელოვანია რეკომენდაციები გაიცეს როგორც პარტიებისთვის, ასევე სამოქალაქო სექტორის, კვლევითი ინსტიტუტებისა და მედიისთვის. აუცილებელია პარტიებმა განათლების გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა შეიმუშაონ, რომელიც სისტემურ რეფორმებს, კვლევებზე დაფუძნებულ მიზნებსა და შესრულების მკაფიო გზებს მოიცავს. ასევე, გაზარდონ კავშირი სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და მასწავლებლებთან, რათა პროგრამები რეალურ საჭიროებებს პასუხობდეს.
რაც შეეხება სამოქალაქო სექტორს, აქ მნიშვნელოვანია მათ გააძლიერონ კამპანიები, რომლებიც განათლებას წარმოაჩენს როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების საფუძველს და გაზარდონ საზოგადოებრივი ჩართულობა განათლების რეფორმებზე დისკუსიებში.
ხოლო კვლევითი ინსტიტუტებისა და მედიისთვის საჭიროა განახორციელონ პარტიათა წინასაარჩევნო პროგრამების რეგულარული მონიტორინგი და შედარებითი ანალიზი. გააშუქონ განათლების პოლიტიკის საკითხები თანაბრად, ეკონომიკურ და სოციალურ თემებთან ერთად, რათა გაიზარდოს მათი ხილვადობა.
ამ ნაბიჯების ერთობლიობამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს განათლების საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანაში, გამყარებასა და საქართველოს განათლების სისტემის გრძელვადიან განვითარებაში.
აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგები გარკვეული შეზღუდვებით ხასიათდება. რესპონდენტთა რაოდენობა და შერჩევის სპეციფიკა არ იძლევა მთლიან საზოგადოებრივ სურათზე განზოგადების საშუალებას. შესაბამისად, დასკვნები უნდა აღიქმებოდეს როგორც ტენდენციების ანალიზი და არა სრული სურათის ამსახველი მონაცემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

Aghmashenebeli.ge. (2023). სტრატეგია აღმაშენებელი (Strategy Aghmashenebeli). Retrieved from https://aghmashenebeli.ge/

Althusser, L. (2010). Ideology and the ideological apparatus of the state. https://mforbes.sites.gettysburg.edu/cims226/wp-content/uploads/2018/09/Week-3b-Louis-Althusser.pdf

Anyebe, A. A. (2018). An Overview of Approaches to the Study of Public Policy. International Journal of Public Policy Studies, 4(1), 16–28. https://www.arcjournals.org/pdfs/ijps/v4-i1/2.pdf

Ball, S. J. (2017). Education policy: Process, themes and impacts. Routledge.

Downs, A. (1957). An economic theory of political power and politics in sport. ResearchGate.

Downs, A. (1957). An economic theory of democracy. Harper & Row.

droa.ge. (2016). (No title).

Duverger, M. (2024, February 29). Political party. In Britannica. Retrieved from https://www.britannica.com/topic/political-party

Fisher, N. B. (2013). A well-educated workforce is key to state prosperity. Economic Policy Institute. https://www.epi.org/publication/states-education-productivity-growth-foundations/#:~:text=Overwhelmingly%2C%20high%2Dwage%20states%20are,prosperity%20by%20investing%20in%20education.

IRI.org. (2023). [Unpublished document]. Retrieved from https://civil.ge/wp-content/uploads/2023/11/CISR-Approved-IRI-Poll-Presentation-Georgia-September-October-2023-For-Public-Distribution.pdf

Jakobi, A. P. (2009). Education and elections: A comparative analysis of [Working Paper]. Max Planck Institute for the Study of Societies. https://www.econstor.eu/bitstream/10419/27897/1/598961666.PDF

Jakobi, A. P. (2016). Political parties and the institutionalization of education: Comparative Education Review, 60(1), 1–25. https://www.journals.uchicago.edu/doi/epdf/10.1086/657931

Jandevi, U. (2019). Communication strategy to improve women's political participation in Indonesia. International Journal of Communication and Society, 1(2), 65–72. https://doi.org/10.31763/ijcs.v1i2.46

john Garry, & Michael Laver. (2000). Estimating policy positions from political texts.

Nataliia SHUST, Liudmyla TYMCHUK, Iryna MAIDANIUk, Iryna SYDORENKO, Yaryna PUZYRENKO, & Olena NEVMERZHYTSKA. (2022). Education as an effective component of political development and socio-economic prosperity in society.

NDI.org. (2022, September). Taking Georgians' pulse: Findings from August 2022 face-to-face survey (Georgian). Retrieved from https://www.ndi.org/sites/default/files/Taking%20Georgians%E2%80%99%20pulse%20Findings%20from%20August%202022%20face%20to%20face%20survey%20%28Georgian%29.pdf

O'Cass, A. (1996). Political marketing and the marketing concept. ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/235303320_Political_Marketing_and_the_Marketing_Concept

PISA. (2022). [Data set/Report]. OECD iLibrary. Retrieved from https://www.oecd-ilibrary.org/docserver/53f23881-en.pdf

Rivière-De Franco, K. (2006). Entre communication politique et propagande: les publicités électorales de 1979 à 2005 = Political communication or propaganda? Electoral advertising, 1979-2005.

unesco.org. (2023). [Information on] Education policies. Retrieved from https://www.unesco.org/en/education-policies

Webb, P. (2009). The failings of political parties: Reality or perception? The Round Table, 98(403), 437–450. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00344890903129517

World Bank Group. (2022, April 14). Georgia: Performance and learning review of the country partnership framework for the period FY19–FY22. Retrieved from https://documents1.worldbank.org/curated/en/964541652556740638/pdf/Georgia-Performance-and-Learning-Review-of-the-Country-Partnership-Framework-for-the-Period-FY19-FY22.pdf

ევროპული საქართველო. (2020). მოპოვებული განათლება (Retrieved document). Retrieved from https://www.europeangeorgia.ge/

დიოგენე. (ძვ.წ. 323).

თოგოშვილი, ნ. (2016, ნოემბერი 3). პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო პროგრამები საქართველოში. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-nino-togoshvili-politikuri-partiebi/28123999.html

ინტერმედია. (2016, აგვისტო 30). განათლება და მისი როლი ადამიანის ცხოვრებაში. Retrieved from https://intermedia.ge/

ლელო საქართველოსთვის. (2020). მარშალის გეგმა. Retrieved from https://lelo9.ge/marshalis-gegma/

პატრიოტთა ალიანსი. (2020). პროგრამა. Retrieved from http://patriots.ge/ka/npN3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). განათლების სტრატეგია 2020-2025. Retrieved from https://mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

საქართველოს ლეიბორისტული პარტია. (2020). პროგრამა. Retrieved from https://www.labour.ge/ka/chvens-shesakheb/programa

სმელზერი, ნ. (თ. გ.). განათლება (თავი წიგნიდან: სოციოლოგიის შესავალი). Retrieved from http://www.socium.ge/downloads/socshesavali/ganatleba_smelzeri.pdf

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2005, აგვისტო 4). საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი". Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=99

ტრიბუნა. (2017). (No title).

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო. (2020). საარჩევნო პროგრამა. Retrieved from http://www.gd.ge/uploads/programs/b5045f9c70101fae8.pdf

ქეცბაია, კ. (2014). განათლების სოციოლოგია. უნივერსალი.

წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭავჭავაძე, ი. (1879). შინაური მიმოხიოლვა.